

ტირილის მოტივის ტრანსგერსიული ფუნქცია ზურა აბაშიძის
მოთხრობების კრებულში როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი

დავით გაბუნია

საშინაო ნაშრომი ნარატოლოგიაში/თხრობის თეორიაში

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი,
პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

სარჩევი

შესავალი	1
1. თეორიული წანამძღვრები / ლიტერატურის მიმოხილვა	2
1.1 მოტივის ცნების განმარტებისთვის	2
1.2 ტირილის ფენომენი - ინტერდისციპლინარული მიდგომა	4
2. ტექსტუალური მასალის პირველადი დამუშავება	7
3. ანალიზი	9
დასკვნა	14
გამოყენებული ლიტერატურა	15
დანართი #1	16

შესავალი

უახლესი ქართული ტექსტები (2000 წლიდან - დღემდე გამოქვეყნებული) იშვიათად ექცევა ლიტერატურის მკვლევართა ყურადღების არეალში; ფრაგმენტულია ან თითქმის არ ხდება მათი მეცნიერული მეთოდებით შესწავლა და კვლევა, რაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებზე ობიექტურ დაკვირვებას შეუძლებელს ხდის. ლიტერატურულ პერიოდიკაში და სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული რეცენზია-შეფასებები, ძირითადად, ესეისტური ხასიათისაა და მოკლებულია აკადემიური კვლევის ელემენტებს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დებიუტანტი ავტორის, ზურა აბაშიძის მოთხრობების კრებულში, როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი ტირილის რეკურენტული მოტივის¹ შესწავლა და მისი სემენტიკის რამდენიმე ასპექტის ანალიზი, რაც, ჩვენი აზრით, იქნება მცდელობა, შევავსოთ ზემოთ აღნიშნული დანაკლისი.

საკვლევად შერჩეული მასალა წარმოადგენს მოთხრობების კრებულს, რომელიც აერთიანებს თორმეტ მოთხრობასა და ავტორისეულ ბოლოსიტყვაობას (გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, 2016 წ.). ჩვენი ინტერესი აღნიშნული მოტივის შესწავლისადმი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კრებულში შესული მოთხრობების სრულ უმრავლესობაში (თორმეტიდან ათი მოთხრობა) ტირილის მოტივი სხვადასხვა ფორმით მეორდება. ტექსტობრივი მონაცემების რაოდენობრივი შესწავლისას მოთხრობებში ტირილის მოტივი სულ ორმოცდაათჯერ გვხვდება.² მოტივის ამგვარი ინტენსიური რეკურენტულობა ტექსტების პირველადი წაკითხვისთანავე იპყრობს მკითხველის ყურადღებას, და ამრიგად, აღძრავს ინტერესს, უფრო დეტალურად იქნას გაანალიზებული მისი სემანტიკური ტრანსფორმაციები, მოვახდინოთ მისი ტიპოლოგიზაცია და გამოვავლინოთ სავარაუდო კანონზომიერება, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ მოტივებს ახასიათებს, და ანალიზის საფუძველზე განვმარტოთ, რას ნიშნავს მოტივის ტრანსგრესიული ფუნქცია.

¹ ნაშრომში ვიყენებთ მოტივის ბ. ტომაშევსკისეულ განმარტებას. (Томашевский, 1999, გვ. 122)

² იხ. დანართი # 1.

1. თეორიული წანამძღვრები / ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. მოტივის ცნების განმარტებისთვის

მოტივის განმარტება ლიტერატურათმცოდნეობაში ერთმნიშვნელოვანი არ არის. სხვადასხვა პერიოდში ვხვდებით განსხვავებულ, და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო, განმარტებებს. თავის სუბარული ხასიათის ვრცელ სტატიაში ჰორსტ დემრიხი მიუთითებს:

იმ დროიდან, როდესაც ტერმინი „მოტივი“ პირველად გაჩნა ენციკლოპედიაში (1765 წ.) და მას მუსიკალური მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ცნება ბუნდოვნად რჩება მისი ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო კონოტაციების გამო. ლექსიკონებში ტერმინის შემოწმებისას აღმოვაჩენს მის სამგვარ განმარტებას: 1) საგანი, ან ცენტრალური იდეა, განმეორებადი თემატური ელემენტი, რომელიც გამოიყენება მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების განვითარებისათვის; 2) გამოკვეთილი ფიგურა არქიტექტურისა და დეკორირების ხელოვნებაში; 3) მოკლე, დამოუკიდებელი, მნიშვნელობის მქონე ფრაზა ან მელოდიური ერთეული მუსიკალურ ნაწარმოებში.“³ (Daemmrich 1985, 567)

მკვლევარი მიმოიხილავს მოტივის ცნების სხვადასხვა მეცნიერულ გაგებას, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე მე-20 საუკუნის მიწურულამდე და აღნიშნავს, რომ თემებისა და მოტივების შესწავლა მნიშვნელოვანია ლიტერატურათმცოდნეობისთვის იმდენად, რამდენადაც საშუალებას გვაძლევს „გამოვავლინოთ ლიტერატურული კონსტანტები“ (Daemmrich 1985, 573), რადგან სწორედ თემები და მოტივები წარმოადგენს ლიტერატურული ნაწარმოების საბაზისო ელემენტებს. „მათი განლაგება, დისტრიბუცია, გამეორება და ვარიაცია აყალიბებს ურთიერთობათა რთულ სისტემას, რაც ტექსტუალური სტრუქტურის განუყოფელი ნაწილია.“ (ibid)

თუმცა, დემრიხის მიერ მოცემული სხვადასხვა განმარტება მოიცავს ტერმინის „მოტივი“ მხოლოდ თემატოლოგიურ გაგებას. ჩვენი კვლევისთვის კი ვეყრდნობით რუსული ფორმალისტური სკოლის წარმომადგენლის, ბორის ტომაშევსკისეულ განმარტებას. მისი ინტერპრეტაციის მიხედვით, „ტექსტის თემატური დანაწევრების შედეგად მივდივართ უმცირეს ელემენტამდე, რომელიც დაუშლელია. [...] ნაწარმოების დაუშლელი ნაწილის თემას ეწოდება მოტივი.“

³ თარგმანი აქ და შემდგომ ჩვენია. (დ.გ.)

(Томашевский 1999, 122) ტომაშევსკი ასევე მიუთითებს, რომ ტერმინის „მოტივი“ გაგება ისტორიულ პოეტიკაში მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი განმარტებისგან, რადგან ისტორიულ პოეტიკას აინტერესებს „მოგზაური მოტივები“, რომლებიც ერთი ნაწარმოებიდან მეორეში, ერთი ჟანრის ფარგლებში მთლიანად მეორდება. შესაბამისად, წარმოადგენს „ისტორიულად დაუშლელ“ ერთეულს. თავად ტომაშევსკისთვის კი, მოტივის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, გამოაცალკევოს ერთი ტექსტის ფარგლებში არსებული უმცირესი, დაუშლელი ერთეულები (ibid). აქვე მოცემულია „დაკავშირებული“ და „თავისუფალი“ მოტივების განმარტება. „დაკავშირებულს“ ტომაშევსკი უწოდებს მოტივს, რომლის გამოტოვებაც ნაწარმოების ფაბულის მთლიანობას არღვევს, „თავისუფალი“ მოტივები კი ისეთი მოტივებია, რომელთა გამოტოვებითაც ნაწარმოების დროითი და მიზეზ-შედეგობრივი მთლიანობა (ანუ ფაბულა) არ ირღვევა. თუმცა, სიუჟეტის აგებაში სწორედ თავისუფალ მოტივებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ისინი მხატვრული ტექსტის რაგვარობას განსაზღვრავენ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ტომაშევსკის მიერ მოტივის განსაზღვრა უკავშირდება ამ ტერმინის წარმოშობის საწყის ეტაპებს, როდესაც იგი მუსიკალური ნაწარმოების უმცირეს, დაუნაწევრებელ და მნიშვნელობის მქონე ერთეულს აღნიშნავდა. ასევე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ განმარტების განსხვავებულობისა თემატოლოგიური გაგებისაგან, ტომაშევსკი არ უარყოფს მოტივის რეკურენტულობის, როგორც ტექსტის თემატური მთლიანობის განმაპირობებელი ფუნქციის არსებობას. შესაბამისად, ჩვენი კვლევის ობიექტის შესწავლისას სწორედ ტომაშევსკის მიერ შემოთავაზებულ ცნებით აპარატს ვეყრდნობით.

1.2. ტირილის ფენომენი - ინტერდისციპლინური მიდგომა

მხატვრულ ტექსტებში საკვლევად შერჩეული მოტივი, ტირილი, მოითხოვს ერთგვარ მცირე ინტერდისციპლინურ ექსკურსს. ტირილის, როგორც **ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური** მოვლენის შესწავლა მე-20 საუკუნის ადრეული წლებიდან იწყება. ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი ამ სფეროში ეკუთვნის ალვინ ბორგვისტს, რომელიც დეტალურად განიხილავს ტირილის თანამდევ და გამომწვევ ფიზიოლოგიურ პროცესებს და მიუთითებს, რომ:

[ტირილი] მენტალური უკმაყოფილების მდგომარეობის ფიზიკური გამოხატვის პრიმიტიული ფორმაა. მენტალური და ფიზიკური აქტები ერთმანეთისგან არც არასოდეს განცალკევებულა. ჩვენი ვარაუდით, ტირილის გამოხატულების სხვადასხვა ფორმები კორელაციაშია უკმაყოფილების ყველა ნაირსახეობასთან. [ადამიანმა ევოლუციის განმავლობაში] შეინარჩუნა ტირილის უნარი, როგორც უმწეობის გამოხატვის კონკრეტული ფორმა, თავის კორელატთან - სიბრალულთან, როგორც ფუნდამენტურ ფსიქო-სოციალურ სიტუაციასთან ერთად. (Borgqvist 1906, 202)

ამ მიმართულების კვლევები მოგვიანებით მნიშვნელოვნად განვითარდა. მათ შორის გამოვყოფთ ერთ-ერთ კვლევას, რომელიც ჩვენი ნაშრომისთვის რელევანტურ თეორიულ მასალას გვაწვდის. როტენბერგი, ბილსმა და ვინგერჰეტსი სტატიაში *არის თუ არა ტირილი სასარგებლო?* მიმოიხილავენ სხვა მკვლევართა მიერ შეგროვებულ ემპირიულ მასალას, ასევე საკუთარ მრავალწლიან ნამუშევარს და სტატიის დასკვნით ნაწილში აცხადებენ:

კვლევების შედეგები კვლავ და კვლავ ადასტურებს, რომ ტირილის ფიზიოლოგიური ეფექტი ჰეტეროგენულია. ამავდროულად, ჰეტეროგენულობას სისტემური ხასიათი აქვს. მაგალითად, ტირილის მიერ მოტანილი სარგებელი უფრო სავარაუდოა ისეთ ნატურალისტურ გარემოში, როდესაც ადამიანები იგონებენ წარსული ტირილის ეპიზოდებს, როდესაც ტირილის გამომწვევი მოვლენები მოგვარებადი პრობლემებია, როდესაც მოტირლები არიან ადამიანები, ვისთვისაც კომფორტულია ემოციების გამოხატვა და როდესაც მოტირლები არ არიან დეპრესიაში ან შფოთვაში. კვლევის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ სათაურში დასმული კითხვა ახლებურად უნდა დავსვათ: რა პირობებში და ვისთვის შეიძლება იყოს ტირილი მეტი ალბათობით სასარგებლო? (Rotenberg et al 2008, 403)

ჩვენი კვლევისთვის რელევანტური მონაცემების მოტანა შესაძლებელია **სოციალური ფსიქოლოგიის** სფეროდან. როსისა და მიროვსკის კვლევა *კაცები, რომ-*

ლებიც ტირიან (Ross & Mirowsky 1984, 138-146), ტირილის ფენომენის გენდერული ნიშნით გაანალიზებას ეძღვნება და მოიცავს ვრცელი რაოდენობრივი მონაცემების შედეგად მიღებულ დასკვნებს:

ტირილი, როგორც სევდის გამოხატულება მიჩნეულია ბუნებრივ საქციელად, თუმცა, ჩვენს საზოგადოებაში მას უფრო ქალებისთვის დამახასიათებელ ქცევად მიიჩნევენ. [...] კვლევის შედეგები ადასტურებს ამ მოსაზრებას, რადგან დგინდება, რომ მამაკაცები ქალებთან შედარებით ნაკლებად ტირიან და კორელაცია სევდიანობასა და ტირილს შორის კაცებთან გაცილებით დაბალია, ვიდრე ქალების შემთხვევაში. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტირილი სოციალურად და კულტურულად განპირობებული გამოხატვის ფორმაა და არა ბუნებრივი ან უნივერსალური მოვლენა. [...] კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მამაკაცების ნაწილი სევდის განცდისას უფრო ხშირად ტირის, ვიდრე სხვები, იმის მიხედვით, როგორი შეხედულება აქვთ მათ გენდერულ როლებზე. მამაკაცები, რომლებიც ტრადიციულ გენდერულ როლებს ითვისებენ, ნაკლები ალბათობით ტირიან სევდიანობისას. ხოლო „არატრადიციული“ მამაკაცები მეტად ტირიან. (Ross & Mirowsky, 1984, 143)

ამავე კვლევაში ვრცელი მონაკვეთი ეთმობა **სოციო-ეკონომიკური სტატუსის** წინააღმდეგობრივ გავლენას მამაკაცების ტირილის სიხშირეზე. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ განათლება და შემოსავალი ამცირებს მამაკაცებში სევდიანობის დონეს, მაგრამ ასევე იწვევს გენდერულ როლებისადმი ტრადიციული შეხედულებების კლებას. შესაბამისად, მამაკაცები, რომელთაც მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსი აქვთ, ამჟღავნებენ ტირილის მეტ ტენდენციას სევდიანობის დროს. ხოლო მამაკაცებს, რომელთაც დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსი აქვთ, მეტი ალბათობით ახასიათებთ სევდიანობა, მაგრამ ნაკლებად არიან მიდრეკილნი ტირილისკენ სევდიანობისას. მკვლევრები ასკვნიან, რომ ტირილი სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური სტატუსის მამაკაცებისთვის ზოგადად ნაკლებად დამახასიათებელია, თუმცა სხვადასხვა მიზეზებით (Ross & Mirowsky 1984, 144).

ტირილის ფენომენის გენდერული ნიშნით შესწავლის შედეგები ამ და სხვა კვლევებში, გვაძლევს საშუალებას, ეს მონაცემები **ლიტერატურული პროცესის** ისტორიულ კანონზომიერებებზეც გავავრცელოთ. კვლევაში, რომელიც მე-18 საუკუნის ბრიტანულ სენტიმენტალურ პროზას ეთმობა, მკვლევარი ილდიკო ჩენგი, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, მიდის დასკვნამდე, რომ „პოსტ-

სენტიმენტალურ“ ხანაში ტირილი როგორც ემოციის გამოხატვის საშუალება მამაკაცი პერსონაჟებისათვის ლიტერატურულმა ტრადიციამ უკიდურეს მარგინალობად აქცია, ფემინურ თვისებად დასახა, მოგვიანებით კი საერთოდ განდევნა როგორც ექსცესიური სიჭარბე და ცუდი ტონი. შესაბამისად, სენტიმენტალური ლიტერატურის წაკითხვა-გააზრება შეუძლებელი გახდა.

აკადემიურ სივრცეში [ტექსტის] წაკითხვის პრაქტიკამ უნდა გამოძეხოს სივრცე აფექტურობისათვის, რომელიც დაექვემდებარება თეორიტიზირებასა და განცდას ერთდროულად. სენტიმენტალური რომანის იმგვარი წაკითხვა, რომელიც ყურადღებას მიაპყრობს ემოციურ მხარეს, შესაძლოა დაგვეხმაროს იმის გააზრებაში, როგორ ფარავს ცრემლებსა და ტირილის მნიშვნელობას ჩვენი თანამედროვე კულტურის ცდუნებები და ფანტაზიები და შესაბამისად, როგორ გაუანალიზებელი და შეუსწავლელი გვრჩება ეს საკითხი [...]. (Csengei 2004, 968)

ამ მცირე ინტერდისციპლინური სამეცნიერო ექსკურსის საფუძველზე იკვეთება ჩვენი კვლევისთვის არსებითი ასპექტი: საკვლევ ტექსტებში ტირილის მოტივების კლასიფიკაცია-ტიპოლოგიზაცია ვერ იქნება სრულყოფილი ინტერდისციპლინური მიდგომის გარეშე; მოტივის რეკურენტულობის ასეთი ინტესიურობის ინტერპრეტაციისთვის, აქტუალურ ლიტერატურულ კონტექსტთან ერთად, საჭიროა ფსიქო-სოციალური და სოციო-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებაც.

2. ტექსტუალური მასალის პირველადი დამუშავება

ზურა აბაშიძის მოთხრობების კრებული, როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი შეიცავს თორმეტ მოთხრობასა და ავტორისეულ ბოლოსიტყვაობას. კვლევის პირველ ეტაპზე ჩვენ განვახორციელეთ მასალის პირველადი, რაოდენობრივი დამუშავება. ტირილის მოტივი კრებულში შესული მოთხრობებიდან ათ ტექსტში ფიქსირდება სხვადასხვა რაოდენობით, მთელ კრებულში კი სულ ორმოცდაათჯერ მეორდება.

სათაური	რაოდ.
"ზინა"	0
"შეკურთხება"	4
"საშვა"	12
"როცა ჟორა იძინებს"	5
"როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი"	8
მამი	0
"ბავშვები კარგად არიან"	6
"შუალამის გოგოები"	1
"ფანჯი დუ"	4
"აგვიანებს"	6
"ჩემი ლამაზი მარუსა"	1
"ცოტა რამ"	3
ბოლოსიტყვაობა	0
სულ 50	

ცხრილი 1. ტირილის მოტივის რაოდენობრივი გადანაწილება მოთხრობებში

მოტივების კლასტერიზაციის შემდგომი ეტაპი კი მათი გენდერული ნიშნით დაჯგუფება იყო.

სათაური	რაოდ.	F	M
"შეკურთხება"	4		
"საშვა"	12		
"როცა ჟორა იძინებს"	5		
"როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი"	8		
"ბავშვები კარგად არიან"	6		
"შუალამის გოგოები"	1		
"ფანჯი დუ"	4		
"აგვიანებს"	6		
"ჩემი ლამაზი მარუსა"	1		

ცხრილი 2. ტირილის მოტივის რაოდენობრივი გადანაწილება გენდერული ნიშნით

რაოდენობრივი მონაცემები აშკარად გვიჩვენებს, რომ საკვლევ ტექსტებში ტირილის მოტივის სუბიექტად მეტწილად მამრობითი სქესის პერსონაჟები გვევლინებიან.

კიდევ ერთი ტიპის კატეგორიზაცია, რომელიც საკვლევ მასალის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, არის მოტივებში ჩართული სუბიექტების ასაკობრივი ნიშნით დაყოფა - **სრულწლოვანი/ზრდასრული სუბიექტები და არასრულწლოვანი/ზავში სუბიექტები.**

მოტივების დაჯგუფებისთვის კვლევის ამ ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანი იყო ობიექტების დადგენა - რას ან ვის მიემართება ტირილი. ამ ნიშნით გამოვყავით რამდენიმე კატეგორია:

- **გარდაცვლილი / წასული / დაკარგული ობიექტი (საყვარელი ადამიანი, ნათესავი, მეგობარი, ცხოველი)**
- **სტრესული გარემო / დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსი**
- **მიუღწეველი-სანატრელი სასიყვარულო ობიექტი**
- **უობიექტო / აბსტრაქტული ტირილი**

და ბოლოს, შესწავლილი მოტივები დავაჯგუფეთ მათში უშუალოდ აღწერილი ქმედებების რაგვარობის მიხედვით⁴:

- **ქმედებები (სულიერი ობიექტი, დინამიკური მოტივი)**
- **თვისებები (სულიერი ობიექტი, სტატიკური მოტივი)**
- **მოვლენები / მდგომარეობები (უსულო ობიექტი, სტატიკური ან დინამიკური მოტივები)⁵**

⁴ ამ შემთხვევაში ტომაშვესკისეულ მოტივის განმარტებას დაერთო მარტინესისა და შეფელის მიერ შემოღებული სულიერი /უსულო სუბიექტის კომპონენტიც. (ცაგარელი 2012, 81)

⁵ მოტივის ეს ტიპი საკვლევ მასალაში ყველაზე იშვიათია.

3. ანალიზი

მასალის რაოდენობრივი დამუშავებისა შედეგად გვექმნება ზედაპირული წარმოდგენა მოტივების განაწილების შესახებ საკვლევ ტექსტებში, თუმცა, სიღრმისეული ანალიზისთვის აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიზაციებში თვისობრივი კომპონენტის შეტანა; ტირილის მოტივის თითოეული კონკრეტული მაგალითის განხილვა თითოეულ მოთხრობაში ცალ-ცალკე და მათი ფუნქციისა და რაგვარობის დადგენა. საერთო სურათის შესწავლისას აღმოჩნდება, რომ უმეტეს შემთხვევაში ტირილის მოტივები „თავისუფალ მოტივებს“⁶ წარმოადგენს, ე.ი. მათ მოთხრობების ფაბულარული სტრუქტურისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ისინი შეგვიძლია გამოვტოვოთ და ამით ფაბულა არცერთ შემთხვევაში არ დაიშლება. გარდა ერთი შემთხვევისა („საშუა“), რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

მოთხრობაში *შეკურობება* ტირილის მოტივი ოთხჯერ ჩნდება, აქ მთავარი პერსონაჟები არასრულწლოვანი ძმები არიან, მოთხრობილია ოჯახიდან მამის წასვლის ამბავი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ კონკრეტულ ტექსტში ტირილის მოტივის სუბიექტები არიან ბავშვები (არასრულწლოვანი ძმები) და არა დედა, რომელიც ქმარმა მიატოვა. გვხვდება მოტივის შემდეგი სახეობები: თვისებები (დანართი #1, მოტივი 1), ქმედებები (მოტ. 2 და 4) და მოვლენა (მოტ. 3, „სამზარეულოში წყალმა ამოხეთქა, ჩვენზე ყოჩაღი აღმოჩნდა ონკანი და ტირილის და ცრემლების ამოფრქვევის ძალა ეყო.“). ტირილს აქ მამრობითი სქესის პერსონაჟები „ებრძვიან“ („სად გაგონილა კაცის ტირილი“), თუმცა, სენტიმენტები მაინც სძლევთ და თავს ვერ ერევიან - წარმოიქმნება კონფლიქტი ემოციის გამოხატვის ამ ბუნებრივ, ფიზიოლოგიურ პროცესსა და საზოგადოებრივ შეხედულებას შესახებ ტირილის არამამაკაცურობის შესახებ.

მოთხრობა *საშუა* ყველაზე უხვადაა დატვირთული ტირილის მოტივით. ამ მცირე მოცულობის ტექსტში პერსონაჟები სულ მცირე 12-ჯერ ტირიან, ან აღწერენ მდგომარეობას, რომელიც ტირილთან ახლოსაა. ჰომოსექსუალი ახალგაზრდები

⁶ იხ. ტომაშევსკისეული თავისუფალი მოტივის განმარტება ნაშრომის პირველ ნაწილში.

მძიმე სოციო-ეკონომიკურ ფონზე ერთ სივრცეში (სახლში) აღმოჩნდებიან, ყველა მათგანი უბედური და უკმაყოფილოა ცხოვრებით, კომუნიკაცია (ჯგუფური სექსუალური აქტი) არ შედეგა, ისინი მხოლოდ ტირიან. პროტაგონისტის, საშვას ექსცესიური ტირილი მთხრობელ პერსონაჟში თანაგრძნობას იწვევს, საპასუხო რეაქციაც ტირილია. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ტირილის მოტივი (სხვა ტექსტებისგან განსხვავებით) თავისუფალი მოტივიდან დაკავშირებულ მოტივად იქცევა, მოთხრობის ფაბულარულ ელემენტად იქცევა. საინტერესოა, რომ კრებულში ეს ერთადერთი ტექსტია, რომელშიც ყველა პერსონაჟი ჰომოსექსუალი ახალგაზრდა მამაკაცია და სწორედ ამ ფონზე იქცევა ტირილის მოტივი დაკავშირებულ მოტივად.

მოთხრობაში *როცა ჟორა იძინებს* მოხუცი ბაბუის სიკვდილია აღწერილი. ტექსტში ასაკის გამო გულაჩვილებული ბაბუა ტირის (მოტ. 17 და 18), რაც მისი, როგორც ასაკში შესული მამაკაცის დისფუნქციურობის ნიშანია. ბაბუას მოთხრობლის დედა უვლის, რომელიც ტექსტში ერთხელ ტირის (მოტ. 19), რაც მხოლოდ და მხოლოდ დაკისრებული მოვალეობით მოგვრილი უმწეობის ან გადაღლის ნიშანია. ბაბუის გარდაცვალების შემდეგ მთელი ოჯახი ტირის (მოტ. 20), საგულისხმოა, რომ გარდაცვლილის მეუღლის მიერ ქმრის დატირება შედარებით ნეიტრალური სახის მოტივითაა გადმოცემული: „ბებიჩემმა ცრემლით დანამა საწოლი“ (მოტ. 21) - როცა ამავე ტექსტში მამაკაცის ტირილის მოტივები გაცილებით მძაფრია. ტექსტის დასასრულს კი, მოთხრობელი, არარსულწოდვანი ბიჭი უმწეობის გამო ტირის, მსგავსად „გაბავშვებული“ და ფუნქციადაკარგული ბაბუისა, რომელსაც გამუდმებით ქალები ამშვიდებენ/ანუგეშებენ.

მოთხრობაში *როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი* სამი პერსონაჟი, სამი ახალგაზრდა (ერთი მდედრობითი და ორი მამრობითი სქესის) სულ შვიდჯერ ტირის. აქ ტირილის მოტივი ექსკლუზიურად უკავშირდება მძიმე სტრესულ სიტუაციას, როდესაც პროტაგონისტის გაცოფებულ ძაღლს, ბილი ელიოტს სიბრაღულის გამო კლავენ მისი შეყვარებული და ჰომოსექსუალი მეგობარი. ტირილის გამომხატველი მოტივები აქაც თავისუფალია და ემსახურება აღწერილი

სიტუაციისათვის მეტად დრამატული ელფერის შექმნას. კვლავაც, ტირილი არ არის წარმოდგენილი ფემინურ თვისებად, მძიმე სტრესულ გარემოში მდედრობითი და მამრობითი სქესის პერსონაჟები ერთნაირად და ერთად ტირიან. მოტივების ვერბალური გამოხატვაც და სიმძაფრეც ზუსტად ერთნაირია (მოტ. 22-29).

მოთხრობაში *ბავშვები კარგად არიან* ტირილის მოტივები მთლიანად უკავშირდება პროტაგონისტს (იმავე მოთხრობელს), მცირე ასაკის ბავშვს, რომელიც მტკივნეულად განიცდის მშობლების დაშორებას (მოტ. 30-31), ორივე შემთხვევაში პერსონაჟის ტირილის მიზეზია მამის ხატის შელახვა (მას უდიერად მოიხსენიებენ მეგობარი ბავშვები). მომდევნო ორ მოტივში კი ტირილის მოტივატორი პერსონაჟში ახლადგამოდვიებული სექსუალური ლტლოვებია იმავე სქესის თანაკლასელის მიმართ (პროტაგონისტისთვის სურვილის ობიექტი მიუღწეველია, იგი თავისი სექსუალური იდენტობის გარეგნული ნიშნების გამჟღავნების გამო ბულინგის მსხვერპლად იქცევა, მოტ. 32-33). 34-ე მოტივი გულაჩუყებული მამაა. 35-ეში კი ვკითხულობთ: „ზოგიერთი ქალი ტირილსაც იწყებს“. ეს ქალები დედის მეგობრები არიან. საცნაურია, რომ დედა, რომელიც ქმარმა მიატოვა მოთხრობაში არცერთხელ არ ტირის. ამ თვალსაზრისით, ეს მოთხრობაც ზემოთ განხილული მოთხრობების მსგავსად იმეორებს იმავე მოდელს: ტირილი არ არის ფემინური თვისება, ამ მოტივებში მამაკაცები / მამრობითი სქესის პერსონაჟები დომინირებენ.

კრებულის მომდევნო მოთხრობა *შუალამის გოგოები* ამ ნიშნითაც საცნაურია. აქ მოთხრობილია სამი ქალის ამბავი, მათი ადრეული ბავშვობიდან დაწყებული მეგობრობა შუა ხნის ასაკამდე. კრებულში შემავალი მოთხრობებიდან ეს ტექსტი ყველაზე უფრო ვრცელია და დეტალურად მოგვითხრობს ქალების საზოგადოებრივი სტანდარტების მიხედვით „გაუხარებელ“ ცხოვრებაზე, თუმცა, ტირილის მოტივი აქ ერთადერთხელ გვხვდება და ისიც, არა როგორც მძაფრი ფიზიოლოგიური პროცესი, არამედ ნეიტრალური ელფერის მქონე სტატიკური მოტივი: „ავსებდნენ საფერფლეს ფერფლითა და ცრემლებით“ (მოტ. 36). ამ

მოსაზრებას ადასტურებს მოთხრობა *მამი*, სადაც ტირილის მოტივი საერთოდ არ გვხვდება, მაშინ როცა, ერთი შეხედვით წინაპირობა განგვაწყობს და გვიქმნის მსგავსი მოტივების მოლოდინს: ქმრის მიერ მიტოვებული ქალის ამბავი, რომელსაც მათი შვილი მოგვითხროვს.

მოთხრობაში *ფანჯი დუ* ჰომოსექსუალი ახალგაზრდა მამაკაცია პროტაგონისტი. ამ შემთხვევაში ტირილის მოტივი (მოტ. 37-40) უკავშირდება ფიზიკური ნაკლის მქონე მიუსაფარ ბავშვზე ზრუნვას, სიბრალულს და გარკვეულწილად წარმოადგენს თავად პროტაგონისტის „აუწყობელი ცხოვრების“, თუ „დისფუნქციურობის“ გამოძახილს.

მოთხრობაში *აგვიანებს* მარტოხელა დედისა და მისი მცირეწლოვანი ვაჟის ამბავია მოთხრობილი. ამ შემთხვევაში ტირილის მოტივის სუბიექტი ორჯერ არის დედა (მოტ. 41-42) და ოთხჯერ მცირეწლოვანი ვაჟი (მოტ. 42-46).

მოთხრობაში *ჩემი ლამაზი მარუსა* ტირილის მოტივი სულ ერთხელ გვხვდება. ამ შემთხვევაში სუბიექტი არის ანდროგინული ფიგურა, „ქალა-ბიჭა“ მარუსა, რომელსაც გარდატეხის ასაკის მოახლოებასთან ერთად არაფრით არ ეთმობა თავისი „ბიჭური როლი“ და არ სურს გოგოობის აღიარება. პერსონაჟი ტირის მაშინ, როდესაც პირველად ეწყება მენსტრუაცია (მოტ. 47).

კრებულის ბოლო მოთხრობა *ცოტა რამ* ნაწყვეტად შესახებ გვიყვება, ეს არის ქალი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სპეციალურ სკოლას ხსნის. ამ ტექსტში ტირილის მოტივს ყოველთვის კოლექტიური სუბიექტი ჰყავს - ბავშვები ერთად ტირიან, და მათში გულწრფელ გაოცებას იწვევს, როდესაც ნაწყვეტად ატირდება: „ნაწყვეტამაც იტირა ერთი-ორჯერ, ჯერ ჩვენ ვტიროდით, მერე თვითონაც ატირდა და ყველა გავჩუმდით, ვუყურებდით, გვეგონა, რომ ნაწყვეტსნაირი მაგარი ქალი არ ტიროდა.“ (მოტ. 48)

ამრიგად, თუ თვისებრივი ანალიზის მონაცემებს შევაჯამებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: ზურა აბაშიძის მოთხრობების კრებულში როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი ტირილის მოტივი მეტწილად უკავშირდება მამაკაც ან მამრობითი

სქესის ბავშვ პერსონაჟებს, მათ შორის არიან ჰომოსექსუალი მამაკაცები და დისფუნქციური, დეზინტეგრირებული ოჯახების შვილი მამრობითი სქესის ბავშვები. ისეთ მოთხრობებშიც კი, სადაც სიუჟეტური ხაზი მთლიანად უკავშირდება „უბედურ“ ქალებს, რომელთა ცხოვრება საზოგადოებრივი სტანდარტებისა და მორალის თვალსაზრისით დევიანტურია, ქალი პერსონაჟები იშვიათად ტირიან და იმ გამონაკლის შემთხვევებშიც კი, როცა ტირილის მოტივები მსგავს ტექსტებში მაინც გვხვდება, ისინი ყოველთვის სტატიკურია და სტილისტურად ნეიტრალურად ვერბალიზებული.

როგორც წინამდებარე ანალიზისას დავინახეთ, მოტივების უმრავლესობა თავისუფალია და არა დაკავშირებული (გარდა მოთხრობისა *საშკა*, რომელშიც ტირილის მოტივი ფაბულარული მნიშვნელობის ხდება), მათი ასეთი ინტენსიური განმეორება თითქმის ყველა ტექსტში ქმნის ერთგვარ სტილისტურ ერთიანობას, რაც კრებულის ერთმანეთისგან თემატურ-სიუჟეტურად განსხვავებულ მოთხრობებს ერთი ვრცელი ტექსტის იერსახეს აძლევს. ტირილის მოტივები გვევლინება იზოლირებული, დამოუკიდებელი ტექსტების შემაკავშირებელ ელემენტად.

დასკვნა

ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზურა აბაშიძის მოთხრობების კრებულში როგორ მოვეკლათ ბილი ელიოტი ტირილის მოტივის ინტენსიური რეკურენტულობის შედეგად ხორციელდება ტრადიციული მასკულინური როლების/ფიგურების დეკონსტრუქცია. ამ ტექსტებში ტირილის მოტივი მეტწილად მამაკაც ან მამრობითი სქესის არასრულწლოვან პერსონაჟებს უკავშირდება, ხოლო ქალი პერსონაჟები (მიუხედავად მათი „დევიანტურობისა“) იშვიათად ტირიან. მოტივის ამგვარი კონტრასტული ატრიბუცია ტექსტის რაოდენობრივი და თვისებრივი დამუშავებისას აშკარაა. ჩვენი აზრით, გარდა უკვე დასახელებული წმინდად ტექსტუალური ფუნქციისა (მოტივის გამეორება ტექსტების კოჰეზიურ კავშირს უზრუნველყოფს), ტირილის მოტივის ამგვარი სიჭარბე ტრანსგრესიული ფუნქციის მატარებელიცაა. ტრანსგრესიაში კი ვგულისხმობთ ტიპურად „ფემინური“ მგრძნობელობის, ემოციური თვითგამოხატვის საშუალებად ტირილის „მასკულინურ“ თვისებად წარმოჩენას. ამ ხერხით ავტორი ქმნის მხატვრულ სამყაროს, რომელშიც მამრობითი სქესის პერსონაჟები თავისუფალნი არიან საზოგადოებრივი წნეხისგან და თავისუფლად შეუძლიათ თვითგამოხატვის უკიდურესად ექსპლიციტურ ფორმას, ტირილს მიმართონ.

ამ ნიშნით ზურა აბაშიძის ტექსტები განსაკუთრებით საინტერესოა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კონტექსტში როგორც ურყევი მასკულინურობის დეკონსტრუქციის ცდა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც უახლეს ქართულ ლიტერატურაში აქტიურად წარმოჩნდნენ ახალგაზრდა ქალი ავტორები, რომლებიც თავიანთ ტექსტებში ფემინურობის საკითხის სოციო-კულტურულ ასპექტების თემატიზებას მიმართავენ. მამაკაცი ავტორისგან კი ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მხატვრულ ტექსტებში მასკულინობის მასშტაბურ დეკონსტრუქციას ვხვდებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

პირველადი წყარო:

1. აბაშიძე, ზურა. 2016. როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი. ბათუმი. გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“.

სამეცნიერო ლიტერატურა:

2. Borgquist, Alvin. 1906. "Crying", in *The American Journal of Psychology*, Vol. 17, No. 2 (Apr., 1906), University of Illinois Press. pp. 149-205
3. Csengei, Ildiko. 2008. 'I will not weep': Reading through the Tears of Henry Mackenzie's "Man of Feeling". in *The Modern Language Review*, Vol. 103, No. 4 (Oct., 2008), Modern Humanities Research Association. pp. 952-968
4. Daemmrich, Horst S. 1985. *Themes and Motifs in Literature: Approaches: Trends: Definition*. in *The German Quarterly*, Vol. 58, No. 4 (Autumn, 1985), American Association of Teachers of German, pp. 566-575
5. Ross, Catherine E. and Mirowsky, John. 1984. *Men Who Cry*. in *Social Psychology Quarterly*. Vol. 47, No. 2 (Jun., 1984), American Sociological Association, pp. 138-146
6. Rottenberg, Jonathan, Bylsma, Lauren M., Vingerhoets, J.J.M. 2008. *Is Crying Beneficial?* in *Current Directions in Psychological Science*, Vol. 17, No. 6 (Dec., 2008), Association for Psychological Science, pp. 400-404
7. Томашевский Б.В. 1999. *Теория литературы. Поэтика: Учеб. пособие* – М.: Аспект Пресс, გვ. 122-126
8. ცაგარელი, ლევან. 2012. *თხრობის თეორია*. სალექციო სკრიპტი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. გვ. 81-82

დანართი #1

ტირილის მოტივის მაგალითები ზურა აბაშიძის მოთხრობების კრებულში როგორ მოგვლათ ბილი ელიოტი

„შეკურთხება“

1. ჩვენ მაგარი ბიჭები ვართ. გული გვიჩყდება სევდიან რუსულ სერიალებზე... (გვ.12)
2. უპ, რა ცრემლები ვყარეთ მე და ჩემმა ძმამ, ნეტა იცოდეთ, ვის გაუგია, არა, კაცების ტირილი, მაგრამ ჩვენ მაინც ვტიროდით, არა ისე, როგორც ფილმებში დისტროფიკი ან ინვალიდი კაცები, არა, ნამდვილი კაცებივით ვტიროდით. (13)
3. მერე სამზარეულოში წყალმა ამოხეთქა, ჩვენზე ყოჩაღი აღმოჩნდა ონკანი და ტირილის და ცრემლების ამორფქვევის ძალა ეყო. (14)
4. სევდის ქალღმერთი, თუ ასეთი არსებობს, გავანაწყენეთ, წვეთი ცრემლი არ დაღვრილა სამოთახიან ბინაში. (15)

„საშკა“

5. გზად ბევრი ვიტირე, ხოლო მეორე დღეს ეზრას საყვედურებს ვუსმინე, სულ დამპალი პიდარასტი მეძახა, არაყი რატო მაყიდინეო. (19)
6. -განაგრძნობა პათეტიკით და ალკოჰოლით გაჭყეპილი საშკა მოთქმას. (20)
7. წამოიკვილა საშკამ და ატირდა. მწარედ ატირდა, ისე ატირდა, როგორც ატირდება კაცი, რომელიც ხვდება, რომ მომავალი არა აქვს, ხვდება, რომ მალე დაბერდება და სილამაზითაც ვერ იამაყებს, გამელოტდება და პატარა ბიჭების დევნას დაიწყებს, დაჯდება სახლში პარასკევობით და ბევრს იტირებს, აი, ზუსტად ასე ატირდა საშკა. (22)
8. მაგრამ სიცივის უფრო მეშინოდა, ვიდრე ატირებული საშკასი (22)
9. სვენებ-სვენებით ტიროდა საშკა, დიდი ხანი უგრძელდებოდა ტირილი სუნთქვის გარეშე, ხან ამოისუნთქებდა ერთბაშად და ამოიტანდა მთელ სევდას. ზუსტად ვიცოდი, რომ ამ დროს არ იყო ყალბი. ხანდახან რუსულად ან მეგრულად შეგვაგინებდა, მერე ისევ სუნთქვის გარეშე ტიროდა, არც ცდილობდა, ხმა აემაღლებინა, ან დაედაბლებინა, ერთ ხმაზე ტიროდა, უკვე წუთების განმავლობაში. სექსის დროსაც გვესმოდა მისი ტირილი. (23)
10. -ამის ბღავილის ფონზე არ მიდგება. (23)
11. საშკამ ხმას უმატა და მიეხვდით, რომ აქამდე რაც მოვისმინეთ, მხოლოდ შესავალი იყო. (23)
12. -შენც ტირი, შე სირო? (23)
13. წავიდა თუ არა ეზრა, მეც ტირილი ამივარდა. არ ვიცი როგორ მოვახერხეთ, მაგრამ მეც და საშკაც ვტიროდით. (23)

14. -ისევ ტირი. (23)
15. მართლა ვტიროდ, მომაბეზრებლად ვტიროდი. (24)
16. -აუ, ახლა რაღა გატირებს, - ისევ საშამ. (24)

„როცა ჟორა იბინებს“

17. როცა ჟორა იღვიძებს, გვერდით საწოლზე ჩამომჯდარ დედაჩემს ხედავს წიგნით ხელში და ძალიან ბევრს ტირის. მერე დედაჩემი ეუბნება, რომ არ იტიროს, ეს მხოლოდ სიზმარია, ღამე მოკლეა და მალე გათენდება. (26)
18. ბაბუაჩემსაც ძალიან სწყენია, ბღავილით აუწევია ეზო, დედაჩემი ჩავარდნილა ქვემოთ და მტირალი ამოუყვანია სახლში, ადიდასის სპორტულები ჩააცვა, ოთახი ჩაუბნელა და ლოგინში ჩააწვინა. (28)
19. ერთხელ ვიტირე კიდეც და ჟორამ დამამშვიდა, ნუ ტირი, ჩემო პატარა გოგო, მართლა კი არ დამინახიხართ შენ და ჩემი შვილი სკოლის უკან, მართლა გიჟი კი არა ვარ, მეც შემძლია შენი დაწყნარებაო. (29)
20. როცა ჟორა მოკვდა, ოჯახის ყველა წევრი შემოვუსხედით ირგვლივ და ვუმდერეთ ძალიან ბევრი, ბებიაჩემმა ცრემლით დანამა საწოლი. (29)
21. და ატირებულს რომ მეღვიძება, ყოველი უშედეგო ძეხვის შემდეგ, არავინ მხვდება გვერდით, ვინც მეტყვის, რომ ეს უბრალოდ სიზმარი იყო... (29)

„როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი“

22. ტირილის დროს დორბლებიც კი არ სდიოდა. (36)
23. ძალი გაუთავებლად წკმუტუნებდა, წკავწავებდა, ტიროდა. (38)
24. კარს სანამ გავაღებდი, აცრემლებულ ანას შეხედე, თვალისა და ცრემლი ჩამოუგორდა. (39)
25. ლუკამაც გაიგო ხმა და ისიც აღრიალდა, ოღონდ ღრიალს ცრემლებიც დაემატა. (40)
26. არა, არა-მეთქი - ტირილი აუვარდა ანასაც. (40)
27. ბოლო ტყვია ერთად ვესროლეთ და ანაც აცრემლებული თვალებიდან ვერაფერს ხედავდა. (40)
28. უკანასკნელად დაიბღავლა ანამ. (40)
29. მოწყვეტით დავეშვიტე ტუალეტის იატაკზე და ბევრი ვიტირეთ, ტირილისგან გული რომ ვიჯერეთ, გავაკითხეთ ლუკასაც, განადგურებული იჯდა, ბევრი ეტირა იმასაც. (40)

„ბავშვები კარგად არიან“

30. ვალი ცუდი რამე მეგონა, მაგალითად - კიბო, ხოდა, ტირილით ამოვედი სახლში. (43)
31. მაგრამ ბებიას არაფერს ვეუბნები, ტირილს დაიწყებს, ერთხელ ვუთხარი ის სურათები მაშინებს-მეთქი და იტირა. (44)

32. არ მინდოდა მეტირა, არ მინდოდა თაზოს ეფიქრა რომ ქალაჩუნა ვარ, მაგრამ მაინც ვერ მოვითმინე და ავტირდი, თაზომაც ბევრი იტირა, მერე ჩავვხუტეთ ერთმანეთს და ასე ვიჯექით დიდი ხანი, ლოყებმიდებულები. (49)
33. ძალიან მეწყინა, თხუთმეტწუთიან დასვენებაზე მასწავლებლების ტულეტში შევიკეპტე, უნიტაზზე შემოვჯექი და ბევრი ვიტირე. (49)
34. (მამას) ხან საოცრად აიჩვილდებოდა გული, ტიროდა, ბოდიშს უხდიდა დედას, დედაც ტიროდა (50)
35. ზოგი ქალი ტირილსაც იწყებს (51)

„შუადამის გოგოები“

36. ავსებდნენ საფერფლეს ფერფლითა და ცრემლებით (74)

„ფანჯი დუ“

37. ამიტყდა სლუკუნით ტირილი. (90)
38. დამამშვიდა ბავშვმა, არ იტირო, ეგ ეგეთიაო. (91)
39. ანრიმაც მოაღო პირი და ბევრ ცრემლს ბევრი ბავშვური წუხილიც მოაყოლა. (92)
40. პატარა ბავშვის ცრემლებს დიდად არ აუჩუყებია გული (92)

„აგვიანებს“

41. სადამოს სარკესთან მდგარმა დედამ ბევრი იტირა, ჯერ უხმოდ ტიროდა, მერე ხმაც ამოაყოლა... (103)
42. ვერაფერი საერთო რომ ვერ დაინახა, უფრო ატირდა (103)
43. თავზე აღარაფერი გქონდა, ტირილი აგიტყდა... (104)
44. სახლამდე არ შეგვიწყვეტია ტირილი. (104)
45. ერთი-ორჯერ იტირე კიდეც (104)
46. შეგეცოდება შენი თავი და ბევრს იტირებ. (105)

„ჩემი ლამაზი მარუსა“

47. როგორ შეშინდა და როგორ გავარდა დედასთან ატირებული. (110)

„ცოტა რამ“

48. ზოგზე გვეტირებოდა, ნანუცამაც იტირა ერთი-ორჯერ, ჯერ ჩვენ ვტიროდით, მერე თვითონაც ატირდა და ყველა გავჩუმიდით, ვუყურებდით, გვეგონა, რომ ნანუცასნაირი მაგარი ქალი არ ტიროდა. (122)
49. ყველამ ვიტირეთ, ნანუცას წამოუვიდა ცრემლები (123)
50. თავიდან ვტიროდით... (125)